№ 31
ხუთშაბათი, 10 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 31
ხუთშაბათი, 10 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### ტფილისის სადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს დამფუძნებელ და მსეხებელ წევრთა საყურადღებოდ, რომ კომიტეტი, თანხმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა 21 აპრილს 1893 წ., ორის კვირის წინად, ვიდრე დანიშნული იქმნება საზოგადო კრება, მოისპობა თხოვნების მიღება დამფუძნებელ წევრად შერიცხვისა.

(3—1)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა
**№ 7**
დაიბეჭდა და ისყიდება
თხზულებანი
**გ. წერეთლისა**
I ტომი
**ფასი სამი აბაზი**

(5—4)

# ახალი ამბავი

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის უმფროსს ბაქოდგან აუწყებენ დეპეშით, რომ 8 თებერვალს, საღამოს, 6 საათზე შავ ქალაქში ცეცხლი გაუჩნდა ნავთის ქარხანას „ნადეჟდას.“ იქიდგან ცეცხლი წაეკიდა ორ სხვა ნავთის ქარხანას. რკინის გზის ორი ხიდი და 40 საჟნის მანძილზედ რკინის ლიანდაგი გაფუჭებულია. ცეცხლი შეიძლება მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ გაჰქრეს.

*** ბაქოდგან იანვრის თვეში გაგზავნილია რკინის გზით სხვა და სხვა ქალაქებში 9,257 ცესტერნის ვაგონი ნავთი.

*** აქეთ ახლა კარგი ამინდება დადგა და სხვა-და-სხვა ავადმყოფობამაც ცოტაოდნად იკლო. უფრო გავრცელებული იყო ინფლუენცია, რომელმაც ბლომად ინაცვალა მოხუცებულნი. ეხლაც თითო-ოროლა იხოცება ამ სენით.

*** სიღნაღი: თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო, რომ იტყვიან, ლამის სწორედ ისე მოუვიდეს ჩვენს სიღნაღსაც. სულ ერთი ბეწვა ქალაქია, სულ 2056 კომლი კაცი ცხოვრობს შიგ, და ლამის ამ რიცხვსაც 700 კომლი მოსწყდეს. საქმე ის არის, რომ სიღნაღზეა მწერილი ახლო-მახლო სოფლები ნუკრიან ჭოტორი და ნაწილი მაღაროს, სადაც ეს ზემოხსენებული 700 კომლი ქართველობა—ქიზიყელობა სცხოვრობს. რაც ქალაქის ხარჯებია, ყველაფერში მონაწილეობას იღებენ ეს გლეხ-კაცნი; უკეთ ვსთქვათ, ახდევინებენ ყოველს საქალაქო ხარჯს; სიკეთე-კი არა აყრიათ-რა. არც წარმომადგენელი დეპუტატი ჰყავს, არც ფარნები აქვს, არც ქვა-ფენილი გზები, არც ერთი და არც მეორე. ამას გარდა, რადგან ქალაქზედ არიან მიწერილნი ჩამოერთვათ აგრეთვე ზოგიერთი მამულები და სადგომი ადგილები, რაიცა ძალიან აწუხებთ ნუკრიან-ჭოტორ-მაღაროელებს. ეს არის მიზეზი, რომ ესენი განზე იწევენ და სთხოვენ კიდეც ამ დღეებში მაზრის უფროსს ან ერთ სოფლად დაგვტოვეთ, ან სხვა სოფელს მიგვაწერეთ, რომ ჩვენც ისეთსავე ხარჯსა და ბორჯს ვეწეოდეთ, როგორსაც სხვა ჩვენი თანამოძმე სოფლელნი ეწევიანო. თუ ეს მოხდა მართლა, მაშინ აუშენდება ოჯახი სიღნაღს. რაღა მნიშვნელობა ექნება ნეტავი მაშინ ან შემოკლებულ საქალაქო დებულების შემოღებას, ან ქალაქის საბჭოს. ან რა უნდა იყოს ბიუჯეტი ასეთის პატარა ქალაქისა.

*** თიანეთი (ქუთ. მაზრა): ამ ბოლოს დროს ისეთ ნაირად გავრცელდა ჩვენში სურდო ფერდა, რომ იშვიათი ოჯახია, რომელშიაც ამ სენით ავადმყოფი არ იყვეს. წინადაც გვწვევია ამისთანა ავადმყოფობა, მაგრამ ამ ნაირად არ შეუწუხებივართ. რომელ მოხუცებულსაც ჩაავლო ხელი, გაისტუმრა საიქიოს. ქალაქი თუმცა ჩვენზე ძალიან შორს არ არის, მაგრამ მოგეხსენებათ, უიმისოდაც გაღარიბებულს, ყოველ გლეხს ვინ მოგვცა ამის შეძლება, რომ დროზედ მოვიწვიოთ ექიმი და მით ვუსაშუალოთ რამე ამ საშინელს სენს.

*** სოხუმი. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა აქ პეტრე რაზუმოვსკის აკადემიის პროფესორად ნამყოფი ბ-ნი კოსტიჩევი, რომელიც გამოგზავნილი ყოფილა კავკასიაში, ადგილ-მამულების ვითარების შესასწავლად და რუსთა სოფლების ავკარგიანობის გასაგებად აქეთ მხარეს. მას დაუვლია სხვათაშორის აქაური სოფლები, რუსებისა, გამოუკითხავს ყოველივე გარემოება და ერთის კვირის შემდეგ ამავე საქმისათვის სოჩისაკენ გამოგზავრებულა.

*** იქიდამვე: იქიურ მთის შვილთა სკოლის ზედამხედველი ბ-ნი ბოლდანოვი ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლე'ის ინსპექტორად დაჰნიშნეს ბ-ნ მონასტირცევის მაგიერ. ბოლდანოვი მხნე და მეცადინე კაცია; სხვა სიკეთისა არა ვიცით რა და ბ-ნს ბოლდანოვს შეუძლია გაალვიძოს ერობა, როგორც მასწავლებლები, ისე სკოლები. ამასთან ისიც უნდა მოგახსენეთ რომ იგი დიდი მიმდევარი ესრედ წოდებულ პროფესიონალურ ცოდნის გავრცელებისა ექვი არ არის, მრავალ სკოლასთან დაარსებს ბაღებს, ბოსტნებს და სხვა და სხვა სახელოსნოებს.

*** სოხუმიდგანვე: იანვარი გავიდა, საზამთრო პალტოები გავიძვრეთ და იის კრეფას შეუდექით. მართლა რომ აუარებელი ია ჭყვაოდა.. უეცრად, ხუთს თებერვალს, მოიქუშა ცა და დაიწყო თოვლა. თოვლას თავი გაანებეთ, ამას მოჰყვა საშინელი ჭექა-ქუხილი და ელვა, რომელიც თოვლის დროს იშვიათია ხოლმე; აქაც არავის ახსოვს, ასეთი ამბავი; დღეს ე. ი. ექვსს ამ თვისას ერთი ჩარექი თოვლი სძევს თვით სოხუმში, გარეშე ადგილებში, მგონია, ნახევარ არშინზედ მეტიც იყო.

*** „ივერიის“ 29 ნომერში შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ 14 მან. მივიღეთ ალ. ყაზიბეგის ფონდის სასარგებლოდ ბ-ნთ იოსებ გველესიანისა და აბრამ ელიზბარაშვილისაგანაო. ეს ფული სალიტერატურო ფონდისათვის უნდა იყოს გადადებული შემომწირველთა სურვილისამებრ. ამ ფულისა, რომელიც გადაცემული აქვს «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გვქონდა დღემდე 446 მან. 14 კაპ. შესდგა ამ სახით სულ 460 მან. 14 კაპ.

### სასულიერო მთავრობის განკარგულება

მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მოხსენება, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის სახელობაზედ წარგზავნილი.

მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას,

უწმიდესის უმართებულესის სინოდის წევრს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ვლადიმირს, საქართველოს ექსარხოსს, მთავარ ეპისკოპოსს ქართლისასა და კახეთისას

ქართლ-კახეთის ქორ-ეპისკოპოსის,
გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს

მოხსენება.

განსვენებულ საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პავლეს ბრძანების თხოვნით, 1885 წ. შევუდექი ჩემის ხარჯით ბეჭდვას წიგნისას საქართველოს მეცნიერ კათოლიკოზის ანტონ I-ს, რომელიც წარსულ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს სცხოვრობდა და რომლის თხზულებასაც ეწოდება „მზა-მეტყველება“. ეს თხზულება კათოლიკოზის ანტონისა დაწერილია ჭეშმარიტს გზას გადამცდარ ლათინთა ანუ კათოლიკეთა, სომეხთა და ლოტრანგთა ეკკლესიათა წინააღმდეგ, საუკეთესო თხზულებაა კათოლიკოზ ანტონის უკელა თხზულებათაგან და სწორედ განსამკეთებაც შეიძლება და ცოტასიც.

# ფელეტონი

### პროვინციელების საჩივარი და სათხოვარი *)

(ხმა სოფლელისა)

## I

ჩვენის გონებრივის ნათელის მატარებელნი დას-დასად არიან დაყოფილნი სხვა-და-სხვა მიმართულებისა და შეხედულობის გამო. როცა რომელიმე გარემოება მოაგროვებს ხოლმე ამათ ერთ საზოგადო საქმის გარშემო და მოსთხოვს ამა-და-ამ საგანზედ თქვენის აზრის გაგება გვწადიანო, ხშირად მათი შეუთანხმებლობა სურათდება პირადობის შეხებით. აქ ისე აირევ-დაირევა ხოლმე საქმე საგნის გამოკვლევისა, რომ ჩვენ, პროვინციელებს, გვერთმევა ყოველი ღონისძიება, გამოვარკვიოთ რამ იმისი, რაც საჭიროა. რასაკვირველია, საჭირო ის-კი არ არის, ვინ სტყუის, საჭიროა, შევიძინოთ საფუძვლიანი აზრი საკამათო საგნის თაობაზედ. ამ ჩვენის სურვილის შეუსრულებლობაში, თუ გნებავთ, იცოდეთ, ყველანი სტყუიან, ვინც-კი საგანს გადასცდება და ოღრო-ჩოღრო სიარულით ტყუილად გონებას გვიბნევს. ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ძალიან მოგვწონს შეხედულებისა და აზრების სხვა-და-სხვაობა, როგორც საუკეთესო ღონე საგნის ყოველ მხრივ და საფუძვლიანად გასაჩხრეკი; ხოლო არ მოგვწონს, როცა სრულიად უსარგებლოსა ბ ულირსს საგანზედ ჩამოაგდებენ გაუთავებელს კამათობას და მასთან, გამოკვლევისა და გაჩხრეკის მაგიერ, მოპირდაპირის კერძოსა და შინაურ ცხოვრების შესახებ ლაპარაკობენ; ამ დროს ხშირად იმისთანა გარემოებას დაასახელებენ ხოლმე, რომლითაც სალიტერატურო თუ საზოგადო მოღვაწის ზოგიერთს დამოკიდებულებას ვნებასა და ზარალს აძლევენ. იმედი მაქვს ნათქვამის დასაბუთებას არავინ მომთხოვს, რადგანაც, ერთის მხრივ, ყოველმა მკითხველმა და თვით მოკამათეებმაც კარგად იციან ესა. მეორეს მხრივ, ჩვენ ამით არავის გამტყუნება და გამართლება არ გვინდა. გვინდა მხოლოდ მრავალთა სოფლის მკითხველთა პირით ვსთხოვო ჩვენს დედა-ქალაქში თავ-მოყრილს ინტელიგენციას, რომ უფრო გარკვეული და საფუძვლიანი გონებრივი საზრდო მოგვაწოდოს, უფრო ღირსეული და თვალ-საჩინო საგნები გაგვაცნოს.

ძლივს გაჩნდა ჩვენში კითხვის სურვილი და, თუ ახლავე რიგიანად არ იქმნა დაკმაყოფილებული, ცხადია, მალე გაქარწყლდება, თუნდა არ გაქარწყლდეს სურვილი კითხვისა, ისკი აუცადია, რომ თავისებურს და ჩვენთვის უსარგებლო ნაყოფს გამოიღებს. ვინ იქმნება ამაში დამნაშავე? უეჭველია, ვინც თავს იდო ის მძიმე და მრავალ-ნაყოფიერი შრომა, რომელსაც ერის განათლებ-განვითარებას უწოდებენ.

აქ მუშაკთა და მოღვაწეთა ნივთიერს მდგომარეობას არ ვიხსენიებთ, რადგანაც გვწამს, რომ ახლო მომავალში იგი განკარგდება, თუმცა კიდევ შეიწირავს რამდენსამე მსხვერპლს ამ განკარგებამდე. ეს აუცილებელი გზა არის გამოფხიზლებისა და წარმატებისა.

ყველა ამ სარბიელზედ დამდგარმა მუშაკმა კარგად იცის, რომ სხვა-და-სხვა ვითარების გამო ბევრის გაკეთებაც შეიძლება და ცოტასიც. ჩვენგან ზემორე დასახელებული გარემოებაც იმ მიზეზთა შორის არის, რომელთა წყალობით მუშაკი დაუღალავად შრომობს და, ბევრის მაგიერ, ცოტას აკეთებს. ეს გარემოება მხოლოდ იმითი გაირჩევა სხვა მიზეზთაგან, რომ იგი «ჩვენგან დამოუკიდებელი» არ არის, არამედ სრულად ჩვენზედვეა დამოკიდებული და ამიტომ ადვილად დასათრგუნიცა.

ჩვენმა მოღვაწეებმა რომ ამ გარემოებას გვერდი აუქციონ და გვამცნონ: რას უნდა ვეტანებოდეთ, რით უნდა ვიყვნეთ გამსჭვალულნი, რა არის ჩვენი საყოველთაო, სასურველი, რა საშუალებით შეიძლება დავუახლოვდეთ საუკეთესო და სამკვიდრო ცხოვრებას და სხვ. და სხვ., ამას არა ემჯობინება-რა.

ნუ დავივიწყებთ, რომ სოფლის კაცებმა არ ვიცით დაბეჯითებით,

*) ზოგიერთს მთავარს აზრს ამ წერილის ავტორისას რედაქცია არ ეთანხმება.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შკენებს მართლ-მადიდებლობის სღვთის-მეტყველო - საეკლესიო - საისტორიო მეცნიერებას.

აწ დაბეჭდილ წიგნს დასაწყისში ჩემს წინასიტყვაობას რუსულ ენაზედ დართული აქვს: 1, ჩემი მოხსენება, წარგზავნილი საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპოს პავლესთან, ხსენებულ წიგნის დაბეჭდვის შესახებ; 2, ამ მოხსენების პასუხი ექსარხოსის კანცელარიისა თვით ექსარხოსის განაჩენითურთ, და 3, ცენზორის, დეკანოზის გიორგი ხელიძეს აზრი წიგნის დაუბრკოლებლად დაბეჭდვის გამო. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს პავლეს აზრად ჰქონდა დაევალებინა ეკკლესიანი შეეძინათ ესე წიგნი „მზა-მეტყველება“ საეკკლესიო ფულით და ამითი განევრცელებინა მთელს საქართველოში, ვითარცა დიდად სასარგებლო თხზულება. მოვახსენებ რა ამას თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას და წარმოგიგზავნით რა ამასთანავე საჩუქრად ერთს წიგნს «მზა-მეტყველებას», ყოვლად მდაბლად გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რათა მთელის საექსარხოსოს ყველა ეკკლესიამ შეიძინოს საეკკლესიო ხარჯით ხსენებული სალიტერატურო, საისტორიო და სღვთის-მეტყველო შინაარსის წიგნი „მზა-მეტყველება‘‘.

ნამდვილს აწერია: ალექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოისი.

23 დეკემბერს 1893 წლისას, ქ. ტფილისი.

ამა მოხსენებას მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ შემდეგი განაჩენი დასდო: ,,1883 წ. 26 დეკემბერი. ესე მოხსენება დაიბეჭდოს ჟურნალ ,,საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბე‘‘-ში და ამითი ·წინადადება მიეცეს საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოებას შეიძინონ ხსენებული წიგნი საეკკლესიო და საკუთარ წიგნთ-საცავთათვის‘‘.

## კორესპონდენცია

**დ. ჩხარი** (შორაპნის მაზ.): ამას წინად განზრახვა ჰქონდათ ჩხარში მომრიგებელ სასამართლოს დაარსებისა, მაგრამ ამ განზრახვას შეუშალა ხელი აქაურთ დაუდევრობამ. ამ ჟამად აქ მხოლოდ ჩხარის „უჩასტკის“ ბოქაული სცხოვრობს. აქაურთა დაუდევრობა და უთანხმოება იყო მიზეზი აგრეთვე იმისიც, რომ აქ არ იქმნა გამოყვანილი რკინის გზის შტო, რომელიც ინჟენერის შემოწმებით, აქედგან უფრო ადვილად და მოხერხებით გაიყვანებოდა ტყიბულში, ვიდრე ქუთაისიდგან.

ჩხარი კარგა მოზრდილი დაბაა; დუქნების რიცხვი ორასს აღემატება; აქ, სოფლის ბაროზაზე, ყოველისფერი სავაჭრო იშოვება, ასე რომ, თითქმის, აფთიაკიც არ აკლია ამ დაბას თავის ფერშლით. ვაჭრობა ჩხარში უმეტესად სომეხთა ხელშია, რომელნიც ოდესღაც და საიდგანღაც (თითონაც არ იციან,—როდის ან საიდგან) გადმოუტყორცნია ბედს აქეთკენ, დასახლებულან აქ და დღეს ას კომლამდე ირიცხებიან; მაგრამ ერთი-ორი თუ მოიძებნება ამდენს სომხებში, რომ სომხურად ლაპარაკი იცოდეს; ყველანი ქართულად ლაპარაკობენ და ქართველისაგან თითქმის არ გაირჩევიან. ზნე-ხასიათი, ვაჭრობის ნიჭი და ჩვეულებანი ამათ ისევ სომხური შერჩენიათ.

ჩხარში ყოველ პარასკევობით იმართება დიდი ბაზრობა, სადაც მახლობელ სოფლებიდგან მოაქვთ გლეხებს თავიანთი ნამუშავარ - ნაწარმოები, ჰყიდიან აქ, მაგრამ აღებულის ფულის თითქმის ნახევარს აქვე უტოვებენ სომხებს, რომელთაგანაც ორკეც ფასად ჰყიდულობენ თავიანთვის საჭირო სავაჭროს.

ჩხარში სომხები თითქმის მემკვიდრეებად არიან გადაქცეულნი: აქ ამათ აქვთ საკუთარი ადგილ-მამული, საკუთარი დიდ-მშვენიერი, გუმბათიანი ტაძარი, ჰყავთ საკუთარი მღვდელი, რომელიც ღვთის მსახურებას ხალხისათვის გაუგებარს სომხურს ენაზე ასრულებს, ხოლო ქადაგებას-კი ქართულად ამბობს; აქვთ ჩხარში სომხებს აგრეთვე საკუთარი პირველდასაწყისი სკოლაც, სადაც ქართულს ენასთან ამ ბოლოს დროს სომხურსაც ასწავლიან.

ქართველთა ეკკლესია მთელს ჩხარში, როგორც დაბად, ისე სოფლად, ოთხია, ხოლო მღვდელი ორია. თვით დაბაში-კი ერთი ეკკლესიაა, წმიდის გიორგის სახელობაზე აშენებული. ჩხარის წმიდის გიორგის ხატი მთელს იმერეთში განთქმულია ძლიერებითა და სასწაულთ მომქმედებით. აქ მოჰყავთ იმერეთის ყოველის კუთხიდგან სულით ავადმყოფნი და თან მოაქვსთ შესაწირავი წმიდის გიორგისათვის. ავადმყოფთ ასხურებენ წმიდის გიორგის ცერის ნაბანს. ეს ცერი ინახება კანკელის სხვა ხატთა შორის უზარ-მაზარ ძვირფასის თვლებით და ვერცხლის ხატებით შემკულ, უშველებელს ჯვარში.

ამ ეკლესიაშია: წმინდა სახარება *), ბარძიმ-ფეშხუმი, ტრაპეზის ჯვარი, დიდი ხატი წმიდისა საბბასი **) და ბოლოს გარდამოხსნა,—ყოველივე ეს დიაღ ძვირფასს განძეულობასა და ნაშთს შეადგენს, ყველა ეს საეკკლესიო ნივთეულება ოქროში ცურვილ ვერცხლისაა ძვირფასის თვალ-მარგალიტით.

ის ეკკლესია რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება ეს განძეულება და რომელშიაც სრულდება ახლა ღვთისმსახურება, ახალი შენობაა; ხოლო იქვე, მის გვერდით, იმყოფება საკმაოდ მაღალის და სქელის ძველის ქვით-კირის გალავნით შემორტყმული ნანგრევი ძველის ეკკლესიისა. მისი ორ-სართულიანი, უზარმაზარ კოშკივით, აღმართული ქვით-კირის მტკიცე და ჯერ უვნებელი ძველი სამრეკლო შემოსილია ხავსით, სუროთი, ბალახ-ბულახით და პატარა ხეებით და დღეს გადაქცეულა მხოლოდ ნამგალაებისა და ბელურაების საცხოვრებელ ადგილად. ამაზე უფრო საინტერესო არის საფლავი, რომელიც იმყოფება ძველის ეკკლესიის ნანგრევის შუაგულ და რომლის შესახებ აქაურნი მოსწრებულნი, გვარწმუნებენ, რომ ეს იმერეთის მეფის სოლომონის საფლავიაო; თუ ეს მართალია, სწორედ დიდი ცოდვაა, რომ ეს საფლავი ასე უყურადღებოდ და უპატივისცემოდ არის მიგდებული. ამ საფლავზე აწყვია სამი თლილი ნანგრევის ქვა და აღმოსავლეთის მხრით, მიცვალებულის ფეხების პირდაპირ, როგორც ეტყობა, ძველადვე ჩასობილია ჯერ კიდევ უმპალი, გამწვარის ხის პალო, ალბად საფლავის მაჩვენებელ ნიშნად.

*) ამ სახარებაზე არის მის შემწირველის დედოფლის რუსუდანის ზედ წარწერა. დედოფალს რუსუდანს სახარება მოსკოვიდამ გამოუგზავნია ჩხარის წმიდის გიორგის ეკკლესიისთვის.

**) ამ ხატზე არის ვრცელი ძნელად გასარჩევი ქარაგმული ზედ წარწერა. რავდენადაც შევიძელით განრჩევა ამ ზედ წარწერისა, ამოვიკითხეთ და ვსცანით, რომ ამ ხატს სწირავს იმერეთის მეფე სოლომონ (მგონია პირველი) ჩხარის წმიდის გიორგის ეკკლესიას, როდესაც მეფეს გაუმარჯვრა აფხაზებზე.

რავდენადაც შესანიშნავია ჩხარი თავის ძველ ნაშთებით იმდენადვე დაცემულია სწავლა-განათლების მხრით. ამოდენა დაბაში არ იქნა, ვერ გაიმართა მისი შესაფერი და წესიერი შკოლა; აგერ ოთხი წელიწადია არსებობს აქ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა წმიდის გიორგის ეკკლესიასთან, მარტო ეს სკოლა შესაბრალებელს მდგომარეობაშია და, გაუმჯობესობის მაგივრად, თან-და-თან უკან მიდის. მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლაში ზამთრობით ოც-და-ათს არ აღემატება, ზაფხულობით-კი ეს რიცხვიც ნახევრდება. საკვირველია, რომ ოთხის წლის განმავლობაში ორი მასწავლებელი გამოეცვალა ამ სკოლას.

სევერიანე ჯუღელი

---

**აფხაზეთი.** მეცნიერთაგან შემოჩნეულია, რომ რაც ქვეყანა უფრო მდიდარია ბუნებით და უფრო კარგს მოსავალს იძლევა, მით უფრო ზარმაცია და დაუდევარი იმ ქვეყნის მკვიდრი. ამ ჭეშმარიტებას აფხაზებიც ამტკიცებენ, ცოტა არ იყოს. აფხაზეთი, როგორც უწინაც მითქვამს, ბუნებით მეტის-მეტად მდიდარია. აქაური ნიადაგი ერთი ასად აჯილდოებს მშრომელს; ამიტომაც არის, რომ აფხაზები შრომაში დიდად არ ატანენ თავიანთ თავს ძალას, ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არც მდიდრულ ჭამა-სმას არიან შეჩვეულნი. აფხაზისათვის სრულიად საკმარისია ერთი ხელისოდენა ღომი და მცირეოდენი ან ყველის ნაჭერი და ან ერთი ლამბაქი მაწონი, დღე და ღამეს ეს ეყოფა. შეიძლება წლიდან-წლობამდის ხუთჯერ-ექვსჯერ ქათმის ან სხვა საქონლის ხორციც სჭამოს. ეს არის და ეს. ფული ხომ აფხაზისათვის, როგორც ევროპიელისათვის, დიდ საჭიროებას არ შეადგენს. უფულოდაც ადვილად გამოდის იოლად. სახელმწიფო გარდასახადები რომ არ უჭირვებდეს საქმეს, სრულიად საჭირო არ არის მისთვის, ან რაში დასჭირდება?!. შინა აქვს ყოველივე. შინაურ ქსოვილს იცვამს ტანზე, შინაურ ფეხ-საცმელს ატარებს ყველაფერი შინაური აქვს. აფხაზის ნატვრა და იდეალი კარგი ცხენია. ოღონდ კარგი ცხენი მიეცი და თუნდა სხვა ყოველივე წაართვი. აფხაზი ყოველ ღონეს ხმარობს როგორმე თავის იდეალს მიაღწიოს; ამისათვის არაფერს არ დაიშურებს.

ამ ბოლოს დროს, როდესაც აქ გაჩნდნენ სხვა-და-სხვა თემის ხალხნი და მოჰკიდეს მიწის მუშაობას ხელი, აბხაზებმაც იწყეს მხნეობა. აქაც გამოჩნდნენ თითო-ოროლნი, რომელთაც მეურნეობა რიგიანად დააყენეს. შეხვდებით ისეთ აფხაზს, რომელსაც ათასი და ორი ათასი ფუთი სიმინდი მოსდის და ხუთასი-ათასი ვედრო ღვინო მოჰყავს; ამ გვარად აბხაზებიც გამოაფხიზლა აქ მოსულთა მაგალითმა; ამათ შორის პირველი ადგილი მხნეობაში მეგრელებს უჭირავთ.

მეგრელები აქ მეტის-მეტს მხნეობასა სიმარჯვეს იჩენენ. ბევრს მეგრელს— აზნაურს შეხვდებით, რომელიც სამეგრელოში, შიმშილიც რომ ჰკლავდეს, წისქვილში საფქვავს არ წაიღებს უკადრისობის გამო, აქ-კი ურემზე ჰზის და მუშაობს, ან მიწას თოხნის. ვინც რა უნდა სთქვას ამათ წინაალმდეგ, და მეკი მოგახსენებთ, რომ მომავალი ამათია აქ. შარშან ერთი საყურადღებო განკარგულება მოახდინეს მეგრელების დასახლების შესახებ აფხაზეთში. ღლეის შემდეგ მეგრელებს სოხუმის ოლქში ნება არ მიეცეს დასახლებისაო. ეს განკარგულება გამოიწვია ვითომ იმ გარემოებამ, რომ მეგრელები ქურდობას ეწყობიანო: სხვები-კი სხვა მიზეზებს ამბობენ, აქაურ მიდამოში სხვების დასახლება უნდათო. პირველი მიზეზი ჩვენ მით უფრო გვაკვირვებს, რომ დედამიწის ზურგზე ისეთი ერი არ არის, რომელშიაც ქურდი არ მოიძებნებოდეს. მეორე მოსაზრებაც, ვინც-კი იცის აქაურის ციებცხელების ამბავი, უგზოობა და მთაგორიანი ადგილები, ვერაფერი მოსაწონია. მეგრელებს აქ, როგორც ადვილად ამტანს აქაური ჰავისას, როგორც კარგს მიწის მუშაკთა და საიმედო მეომართ ყოველმა კაცმა, ვისიც ჯერ არს და ვისაც რუსეთისათვის სურს სიმაგრე იქონიოს შავიზღვის პირად, ხელი უნდა მოუმართოს. მეგრელებმა თავისი ერთგულება, მხნეობა და სიყვარული რუსეთისა ბევრჯერ გამოიჩინეს; მოიგონეთ ომერფაშის დრო, მოიგონეთ უკანასკნელი რუსთ-ოსმალთ ომი ვინ უფრო იმხნევა და გამოიჩინა—ვაჟკაცობა ამ ომში?! თუ ყოველივე ამას მოვიგონებთ, ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ იქმნება.

გადაღმელი

---

რით უნდა ხელთვმძღვანებლობდეთ. ეს არის მიზეზი, რომ კეთილისა და ბოროტის, კარგისა და ავის წარმოდგენა, გათვალისწინება იქნობამდის არეულ-დარეულია, ისე ერთი მეორეშია გადაბმულ - გადაბლანდული, რომ ამათს არჩევანში თვით ანტიქრისტე მოიტეხს კისერსა. რაც გუშინ საღამოთი კარგი და კეთილი გვეგონა, იგივე დღეს დილით ბოროტი და ავი გვგონია. არ იფიქროთ, რომ აქ იმისთანა კეთილსა და ბოროტ, იმისთანა კარგსა და ავს შევეხებოდეთ, რომელთა გამო წარმატება კაცობრიობის გონებისა იცვლის თავის აზრსა და ფიქრს. არა, ჩვენ მხოლოდ ისეთი საგნები გვაქვს სახეში, რომელთ შესახებ მხოლოდ იმიტომ ვიცვლით ჩვენს აზრს, რომ კარგად და ბეჯითად არა გვაქვს გამორკვეული, გათვალისწინებული. ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ყველა ჩვენში. ჩვენ რომ ცხოვრების საგანი კარგად გვქონდეს წარმოდგენილი, ერთი ათად უფრო თამამად და ფრთა-გაშლით წაიწევდა წინ ზრდა ჩვენის გონებისა და ჭკუისა. ამ ზრდასა და წინ-სვლაში ბეჯითად გავიცნობდით დამხმარებელს და დამაბრკოლებელს მიზეზებს. იგივე ზრდა და წინ-სვლა დაჰბადავდა დაურღვეველ ჭეშმარიტებათა, რომელთა აღიარება დიდისა და პატარასათვის სავალდებულო შეიქმნებოდა. მაშინ გაიჟენთებოდა ჩვენი კერძო და საზოგადო ცხოვრება სასურველ მისწრაფებით. მანამდის-კი იგი ემგზავსება დაზიანებულ ხესა, რომლის სიცოცხლე ძირკვებში კიდევა სდუღს, გარნა ტოტები აქა-იქ გამხმარია და ვერ მიუწვდია ყველა ნაწილისათვის მაცოცხლებელი საზრდო, რისგანაც დღეს ერთი ტოტი ხმება, ხვალ მეორე და, ვინ იცის, ბოლოს რა მოელის, თუ საზრდოს მატარებელ მილებს არა ვუწამლეთ-რა.

## II

ამ უკანასკნელს დროს მწერლობამ, ჩვენდა სასიქადულოდ, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, მანვე დაგვიყენა თვალ-წინ ზოგიერთი ღონისძიება გაჭირვებულ მდგომარეობის თავიდამ ასაცილებელი. ეს ღონისძიებანია: სამეურნეო სკოლები და იაფი კრედიტი. პირველის საჭიროება იმაზედ არის დამყარებული, რომ დღეს ჩვენ კიდევ მამულის პატრონები ვართ და მისი მოვლა, შემუშავება-კი არ ვიცით. არ ვიცით, როგორ და რა საშუალებით შეიძლება მამულით ისე ვისარგებლოთ, როგორც სარგებლობს განვითარებული ხალხი. ამ უვიცობის წამალი გახლავთო, გვეუბნება მწერლობა, სამეურნეო განვითარება. ამ განვითარებისათვის კიდევ საჭიროა სამეურნეო სკოლებიო.

იაფის კრედიტის საჭიროება იმაზედ არის დამყარებული, რომ ნახევარზედ მეტი ჩვენის წვითა და დაგვით შეძინებულისა მიაქვს ძვირს კრედიტს, რომ ჩვენ ჭირის ოფლში ვიწურებით, წელებზედ ფეხს ვიდგამთ ამ ყბა-ღია კრედიტორების შვებით და განცხრომით ცხოვრებისათვის.—მერე განა მადლობელი-კი არიან; პირ-იქით ისინი უცხო კატებივით გვიქადიან საკუთარ სახლ-კარიდგანა და მამულიდგან გარედ გარეკას.

ორივე ღონისძიების საჭიროება, როგორც ჰხედავს მკითხველი, დამყარებულია ნამდვილის, თვალ საჩინო და დაურღვეველს საბუთებზედ, ამიტომ ამ ღონისძიებათ უარ-ყოფა სწორე გზიდამ გადახვევა იქმნება და სხვა არაფერი. ვთქვათ, ორივე ღონისძიება გავიჩინეთ და ორივემ ნაყოფი გამოიღო. ახლა ეს ვიკითხოთ: ეს ღონისძიებანი ზემო აღნიშნულს გაჭივებიდგან დაგვიხსნის თუ არა? რამდენადაც დაკვირვებული ვარ მემამულეთა ცხოვრებას, რამდენადაც ჩემი მოკლე ჭკუა მისწვდა ამ ცხოვრების ავ-კარგიანობის მიზეზებსა, უნდა გადაჭრით მოგახსენოთ, რომ ეგ ღონის ძიებანი ჩვენს გაჭირვებას ვერც-კი შეამსუბუქებს, არამც თუ თავიდგან აგვაცილოს.

ვბედავ დავასახელო, ჩემის აზრით უფრო ისეთი რამ რომელთა შორის ზოგის უარ ყოფა და ზოგის შეძენა აუცილებელად საჭიროა ჩვენთვის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის თავიდგან ასაცილებლად. გარნა თუ ჩემს ნათქვამში უფრო მცოდნენი შეცდომას აღმოაჩენენ, ის მაინც შეგვრჩება, რომ ნამდვილად გამოარკვევენ ჩვენს მდგომარეობას.

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის საუკეთესო მამულების ნახევარზედ მეტი ჩვენს თავად-აზნაურობას უჭირავს ხელში. თავად-აზნაურთა მდგომარეობის ავ-კარგიანობას დიდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემოწირულობა

—

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც კეთილ ინებეს და აღმოუჩინეს შემწეობა ჩემდარწმუნებულ ნორმალურ სასწავლებელთან დაარსებულ, ჩემ-მიერ დედათა სკოლას ფულის შემოწირვით. აი მათი სია:

ბიჭია ლუსავა 10 მან., ანდრია ნარსია 10 მან., ვლადიმირ კოჩინევი 5 მან., გახუ ნადარეიშვილი 5 მან., ბიჭილო თოფურიძე 3 მან., ბეგლარ ჭოჭუა 3 მან., ოტია კორძახია 4 მან., სილბისტრო უჩამეიშვილი 3 მან., გიორგი მელაძე 3 მან., ნიკო ჩოჩია 3 მან., პეტრე ქოიავა 3 მან., ნესტორ ოდიშარია 3 მან., X 3 მან., მიხაილ გუგუშვილი 2 მან., სტეფანე გაბილაია 2 მან., ბესა როფაქიძე 2 მან., გიორგი ცომაია 3 მან., დიმიტრი ბაზიავა 1 მან., კოტატი ნადარეიშვილი 1 მან., ვარამან გუგუშვილი 1 მან., სიმონ ჩაჩავა 1 მან იაკობ სალარაძე 1 მან., დავით თევდორაძე 1 მან., აზ. ანდრია შელაბერიძე 1 მან., ალექსი ცომაია 1 მან., პლატონ ჭანტურაია 1 მან., გიგო ნოდია 1 მან., არსენ კიბაბიძე 1 მან., სოფრომ კაჭარავა 1 მან., ზურაბ გვაზაბია 1 მან., მოსე ბოკერია 1 მან., დათა თოფურია 1 მან., დიმიტრი ფრანგიშვილი 1 მან., ესტატე ჯანელიძე 1 მან., ალექსი თოფურია 1 მან., პეტრე ლაბარტყავა 1მან., მურზა კაჭარავა 1 მან., გახუ გვაზავა 1 მან., ილარიონ მატკავა 1 მან., ზურაბ ნადარეიშვილი 1 მან., დიონოსი რუხაძე 1 მან., ფარნა თოფურიძე 50 კაპ., გიგო გიორგაძე 20 კაპ. სულ 91 მან., 70 კაპ,,

აბაშის (კვათანის) ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი კოსტანტინე სალაყაია.

1894 წელსა თებერვლის 5-ს
სტ. აბაშა. (სენაკის მაზრა).

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ამას წინად თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ 118 მან. 20 კაპ. მივიღეთ ალ. ყაზბეგის ფონდისათვის. საქმე ასე გახლდათ: მე შოვაგროვე 247 მან. სულ. აქედამ დაიხარჯა ვერცხლის გვირგვინზე, რომლითაც შევამკეთ კუბო განსვენებულის ბელეტრისტისა 128 მან., 80 კაპ., დარჩა 118 მან. 20 კაპ. რომელიც გარდმოვეცი თქვენს რედაქციას ყაზბეგის ფონდისათვის. ფულთან ერთად წარმოვადგინე სია, რომელიც ყველა შემომწირველს შეუძლიან ჭნახოს და შეამოწმოს, თუ ისურვებს.

იოსებ მელიქიშვილი

# რუსეთი

—

პეტერბურგში ამ თებერვლის თვის დამლევისათვის დაბარებულნი არიან ყოველ გუბერნიის დამოჟნის მმართველნი ახალ სადამოჟნო წესის შესამუშავებლად.

—

სახელმწიფო საბჭო უკვე შესდგომია საპასპორტო წესდების განხილვას.

—

ფინანსთა მინისტრთან მის და განსახილველად წარდგენილია ამ ჟამად პროექტი ერთის კერძო საზოგადოებისა. გაზეთები ამბობენ, რომ თუ ეს პროექტი მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნა, ასეთ საზოგადოებას ყველგან დაარსებენო. ამ საზოგადოებას აზრად აქვს ხელი შეუწყოს სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების პირიან ფასად და რიგიანის მაზანდით გასყიდვას და იაფი სესხი მოუპოვოს თავისს წევრთ. საზოგადოების წევრად ჩარიცხვის მსურველთ ქონებრივი ცენზი უნდა ჰქონდეთ, ე. ი. თუ საკუთარი მამული არა აქვთ, არ იქმნებიან წევრად ამორჩეულნი, და ამას გარდა პირველში საწევრო ფული უნდა შეიტანონ, რომლის გადახდა თამასუქითაც შეუძლიანთ. თავის წევრებისათვის იაფ-ფასიანის სესხის მოსაპოვებლად საზოგადოება სახელმწიფო ბანკს იშველიებს. ეს პროექტი ფინანსთა სამინისტროში ციმბირის გუბერნიის მამულის-პატრონებს წარუდგენიათ.

—

გრაფი დ. ა. მილიუტინი, რომელიც სიმეიზში სცხოვრობს, რუსეთის გაზეთების სიტყვით, მძიმედ ავად შექმნილა.

—

ციმბირის გაზეთები ამბობენ, რომ ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში მცხოვრებლებმა თავის შორის ფული შეაგროვეს და მთავრობის დაუხმარებლად დედათა გიმნაზია დააარსესო. ამ გიმნაზიის შენახვა წელიწადში საზოგადოებას 15,000 მან. უჯდებაო.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის მთავრობა ამ ჟამად დიდს გაჭირვებაშია. დეპუტატთა უმრავლესობა მოწადინებულია გააძნელოს საფრანგეთში უცხო ქვეყნებიდგან ხორბლის შეტანა და გარდასახადი უნდა დაადოს ამ საგანს. ეს პირველში უბრალო საგანი-კი ცოტა არ იყოს არღვევს სიმტკიცეს საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობისას. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთში უცხო ქვეყნიდგან შეტანილ ხორბლის ერთი ნახევარი მაინც რუსეთს შეაქვს და ასეთის გარდასახადის შემოღებით ის გამოდისო, ამბობენ საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის მომხრენი, რომ ვითომ ანგარიშიანად ვეკიდებით ამ მეგობრობას, არა გვწამს და რუსეთის პურის წინააღმდეგ ათას გვარს დამაბრკოლებელს საშუალებასა ვხმარობთ. ან რა საკადრი! ია ასეთის ღონის ძიების შემოღება მაშინ, როდესაც გერმანიაც-კი სცდილობს რუსეთის პურზედ ბაჟი შეამციროს, საფრანგეთი, გულითადი მეგობარი რუსეთისა, ბაჟს ადებს. რას იტყვიან სამთა კავშირის სახელმწიფონიო? თვით მთავრობის წარმომადგენელთა შორისაც ეს საქმე უთანხმოებას და განხეთქილებასა ჰბადავს: ერთნი ბაჟის წინააღმდეგნი არიან, მეორეები ემხრობიან ბაჟის შემოღების აზრს. დეპუტატთა შორის-კი კასტელარი დიდი მომხრეა ბაჟის შემოღებისა და დეპუტატთა პალატაში განაცხადა კიდეც, რომ ამ ბაჟის შემოღებაზედ არის დამოკიდებული ჩვენის მიწად-მოქმედების კეთილდღეობა და ნუ თუ ჩვენი მეგობარი რუსეთი წინააღმდეგი გახდება იმ საშუალებისა, რომელიც საფრანგეთის მიწად-მოქმედების საკეთილოდ არის შემოღებულიო.

ამ ბაჟის შემოღების ამბავი რუსეთის გაზეთებს არაფრათ მოსწონთ, თუმცა განაცხადეს, რომ პურზედ ბაჟის დადგენას რა საქმე აქვს საფრანგეთ რუსეთის მეგობრობასთან. მაგ ორს საქმეს შუა დიდი ზღვარი დევს და მათ შორის დამაკავშირებელი არაფერიაო. გაზ. «Новое Время» სწერს, მაგალითებრ: ეს მეგობრობა არ შეიცვლება მხოლოდ იმის გამო, საფრანგეთის პალატაში პროტექციონისტებმა რომ გაიმარჯონ, რადგან იმათ ეკუთვნის პროექტი ამ საბაჟო კანონისა, რომელიც ცუდად იმოქმედებს რუსეთის პურის ვაჭრობაზედ და შეამცირებს რუსეთის პურის ხმარებას საფრანგეთში. მთავრობა რესპუბლიკისა აქ არაფერს შუაშია, ხოლო რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის დაცვა და განმტკიცებაკი მთავრობის მოვალეობაა, სულ ერთია, თუნდა, გულ-ცივად-კი არა, მტრულის თვალითაც უყურებდნენ ბ-ნი მელინი და მისნი საეკონომიო თანამოაზრენი საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის სიმტკიცესაო“.

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

—

Астрономія Въ вопросахъ и отвѣтахъ. Г. Первиля. რუსეთის ვარსკვლავთ მრიცხველს რუსულს ენაზედ გადმოუთარგმნია პირველის „სასტრანომიო კითხვა-პასუხი,“ რომელშიაც ყოველ საასტრონომიო საკითხავზედ მოკლე და მარტივი პასუხია მოყვანილი, არა ვარსკვლავთ მრიცხველთათვისაც-კი ადვილად გასაგები. წიგნი ისე ლამაზად არის დაწერილი, რომ კითხვას ახალისებს თურმე. წიგნს დართული აქვს თვით ს. პ. გლაზენაპის წინასიტყვაობა.

## გასართობი

—

ერთი კაცი ქადულობდა, ისეთი საუცხოო სინათლე მაქვს თვალისა, რომ ეკკლესიის სამრეკლოზედ მოსიარულე ბუზსაც-კი ვხედავო.

— აგეთის თვალის სინათლით ვერ მოვიწონებ თავსაო, უპასუხა მეორემ: მაგრამ ყური-კი ისეთი მახვილი მაქვს, რომ, მაგ მოსიარულე ბუზს თუმცა არა ვხედავ, კარგად მესმის იმის ფეხის ბაკა-ბუკიო.

**

მეფე ფრანცისკ I პაპა ლეონ მეათესთან მივიდა სანახავად, ძალიან ეოცა მისი მდიდრული ცხოვრება და შენიშნა, რომ დაბადება სწერს, რომ ძველად სასულიერო მწყემსნი ღარიბად და სადად ცხოვრობდნენო.

— მართალიაო, მიუგო პაპმა, ეგ მაშინ იყო, როცა მეფენი ცხვარს აძოვებდნენო.

**

როსბახში ერთის ბრძოლის შემდეგ მეფე ფრიდრიხ დიდი მიადგა ერთს ფრანგ ჯარისკაცს, რომელსაც გარს პრუსიელები ეხვივნენ, მაგრამ მაინც არა ჰნებდებოდა და ჰხოცდა ხალხს დაუნდობლად.

— ნუ თუ შენი თავი უძლეველი გგონიაო? ჰკითხა მეფემ.

— უეჭველად მეგონებოდა უძლეველი, თქვენი დიდებულება რომ ბრძანდებოდეს ჩვენ სარდლადაო, უპასუხა სისტყვა-მოსწრებით ჯარის-კაცმა.

## გამოსადეგი ცნობა

—

კართოფილის სანთლის ლაქის ამოყვანა. კარტოფილის სანთლის ლაქას დაადეთ პაპიროსის ქაღალდი და მის ახლო დაიჭირეთ ანთებული ასანთი ანუ გაღვივებული ნახშირი და ლაქა ქაღალდზედ გადავა. ორჯელ-სამჯერ რომ გაიმეოროთ, სულ ამოვა ლაქა და თუ ხავერდია დალაქავებული, ისე ლამაზად აძოვა, რომ ხაოც არ წაუხდება.

# დეპეშა

8 თებერვალი

**ფრიდრიჰსრუე.** სადილზედ იმპერატორი თავადს ბისმარკსა და მის მეუღლის შუა იჯდა; საღამოზედ მიდამონი გაჩირაღდნებული იყო; სადილს შემდეგ გაცხოველებული ლაპარაკი ჩამოვარდა. 9 სათზედ იმპერატორი წაბრძანდა აქედამ.

**პარისი.** დღეს დილით, სენ-ჟაკის ქუჩაზე მყოფ ავეჯით მორთულ სასტუმროს ერთ ოთახში იფეთქა ყუმბარამ; ყუმბარა დაეტოვებინა ვილაც მგზავრს; გუშინ დილით მოსულიყო და ისევ მალე წასულიყო, სასტუმროდამ. სასტუმროს პატრონი ქ-ნი კალიბრეზს, რაკი სტუმარი აღარ დაბრუნებულიყო, უნდოდა კარები გაეღო იმის ოთახისა, მაგრამ ვერ შესძლო; მოიწვია პოლიციელი. რამდენიმე კაცი და პოლიციელი მივიდნენ და, როცა პოლიციელმა კარები გაალო, რაღაც დაეცა ძირს, სარდინკის კოლოფის მზგავსი, რომელმაც მაშინვე იფეთქა. მისმა ნატეხებმა დასჭრა ქ-ბანი კალიბრეზი და ორი კაცი კიდევ სხვა.

9 თებერვალი

**პარიჟი.** „Espérance“-ის სასტუმროში დღეს დილით იპოვნეს ისეთივე ყუმბარა, რომელმაც იფეთქა სენ-ჟაკის ქუჩაზედ ავეჯით მორთულ ოთახებში, ხოლო ამ ყუმბარას ესპერანსის სასტუმროში არ უფეთქნია.

**ლონდონი.** ასკვიტმა სთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ იმ დროს, როცა ყოველს მთავრობას ევროპაში უფლება აქვს განდევნოს თავის ქვეყნიდამ საშიშნი კაცნი, ინგლისის კანონ-მდებლობა არ აძლევს

---

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა წოდებათა მდგომარეობის ავ-კარგიანობის საქმეში. ჩვენც აქედამ დავიწყებთ ჩვენს ლაპარაკს.

თავად-აზნაურთა აწინდელი გაჭირება იმდენად არაა დაბადებული საბუთიან, მისდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ. მუშა ხელის მოკლებამ, მოჯამაგირეთა დაჭერის აუცილებლობამა, ფულის საჭიროება და სხვა ამისთანებმა, მართალია, შეუშალა ხელი თავად-აზნაურობას, ჩაჰყარა უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ გაჭირება-კი მისი ამისთანა მიზეზებმა არ დაჰბადა.

ამის საბუთად მოვაგონებ თვით თავად-აზნაურობასვე, რომ ბევრს მათგანს კიდევაც მოუხდა და გაფუჭებით-კი არა გაუფუჭა-რა ყოველმავე ამან. ისინი უფრო წინაც წავიდნენ, და შეძლებაც დიდი შეიძინეს, თუმცა არც არავისთვის მოუპარავთ რამე და არც არავისთვის წაურთმევიათ. მათი გაძლიერება და წინ-წასვლა დაჰბადა სწორედ იმ ურიცხვ ფარეშთა, ვარდისახართა, მეკუჭნავეთა, ხაბაზთა, ბაზიერთა და, ვინ იცის კიდევ რამდენ სხვა მუქთა მჭამელთა მოშორებამ. ოცი და ოცდა-ათი მოსამსახურის სახლში ტრიალი, რომელთა საქმეც შეეძლო გაეკეთებინა ოთხსა და ხუთს მოსამსახურესა, განა ხეირს აყრიდა ოჯახსა? განა არა სწოვდა ოჯახს, როგორც ყოველი მუქთა-ხორა პარაზიტი? განა ის უსასყიდლო შრომის ნაყოფი ისევ უნაყოფოდ და უაზროდ არ იხარჯებოდა მოსამსახურეებზედვე? ვინც ეს უბრალო აზრი შეიგნო, რომ ხუთის მოსამსახურის მაგიერობას ერთიც კარგა გასწევდა და ისეც მოიქცა, იმას არ-კი ავნო ნუშა ხელის დაკარგვამ თითქმის არგო კიდეც. ეს რგება იმითი გამოჩნდა, რომ ამისთანა ოჯახი სდუღდა და გადმოდიოდა, ამისთანათა ოჯახს ასკილის ყვავილობასაც ისევე უკლებლივ ჰქონდა სარჩო, როგორც შემოდგომაზედ. თუმცა ამისთანები ზოგნი სასაცილოდაც იგდებდნენ და სძრახავდნენ კიდეც. ამ ნაირად მოჰმართა საქმე იმ პატარა გუნდმა თავად-აზნაურებისამ რომელმაც პირველშივე ბედნიერ ლუარსაბის ძმა დავითსავით სამეურნეო საქმე არ ითაკილა. ვინც მაშინ მამულის მართვა ყურის გდება და მხნეობა არ იკადრეს, ის დარჩა უსაქმოდ. უსაქმობამ მოთხოვნილება გაათკეცა. აღარ იკმარეს დალოცვილებმა ჩვეულებრივის შვებით და განცხრომით ცხოვრება გადაახიჯეს სახლის კარებს, უკეთესის დროს-გატარების მოსაძებნელად და, რა-კი ერთი დაეწაფნენ ახალ სიტკბოებას, პირი ველარ მოაშორეს. აქ უკან აღარავინ მიიხედა, წარსული დავიწყებას მიეცა. იმისთვისაც აღარავინ მოიცალა მათ შორის, რომ ჩასაყლაპი ძვალი მაინც გაეზმონა და, თუ ზოგს ეს ძვალი ყელში გაეჩხირა, დასცინოდნენ, ყელი ვიწრო გქონია და ეგ რა დაგემართაო. ამან დაჰბადა ყოვლის მხრივ შეუფერებლობა ცხოვრებაში. იგივე შეუფერებლობა გადაედო ყველა სხვა წოდებასა და დღეს ყველანი, წოდებათა განურჩევლად, შეუფერებლადა ვსცხოვრობთ, ე. ი. ვისაც ოცის თუმნის მეტი არა აქვს შემოსავალი, ისე აქვს მოწყობილი ცხოვრება, რომ ოც-და-ათი თუმანი პირს ვერა სწმენდავს; ვისაც ორმოცი თუმანი აქვს, იმას სამოცი უნდება; ვისაც ასი თუმანი აქვს, იმას ორასი არა ჰყოფნის. ერთის სიტყვით, იშვიათია ქართველი კაცი, რომელსაც შემოსავალ-გასავალი განწონილ-გათანასწორებული ჰქონდეს. არ იფიქროთ, რომ ხარჯის გადაჭარბება საჭირო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბრალი იყოს. არა. ეს გადაჭარბება ლვიძლი შვილია იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, რომელთა უარ-ყოფა ადამიანს, ვინც უნდა იყოს, ზნეობრივ ამაღლებს, აფაქიზებს, ჯანის სიმრთელეს ჰმატებს. ყველა ჰგრძნობს, რომ ხარჯი და შემოსავალი შეფერებული შეწონილი არ არის ერთმანეთში, ყველა სწუხს ამის გამო და თავიკი ვერაფრით ვერ დაუხსნია ამ გაჭირვებიდამ, რადგანაც საზოგადო ცხოვრების ტალღებს ვერ ასცდენია. აი სწორედ ამ შეუფერებლობამ, ამ ხარჯისა და შემოსავლის უთანასწორობამ, იმის ხარჯვამ, რაც ჯიბეში არ გვეგულება, დაჰბადა დღევანდელი ჩვენი გაჭირვება, ჩვენი შევიწროებული ყოფა. ეს გაჭირვება, ეს იწროება არა თუ მარტო ხორცს შეეხო, არამედ სულამდეც ხელი მიაწდვინა და უკეთესი, მიმზიდველი თვისებანი ზედი-ზედ ხელიდამ გამოგვაცალა.

ნადიკვრელი

(დასასრული იქნება)

ამის ნებას მთავრობასაო; რა-კი ევროპიდამ სდევნიან, ამისთანა მავნებელნი კაცნი ინგლისისკენ მოაშურებენ. ეს არა-სასურველი გარემოება არა თხოულობს, ინგლისის მთავრობის აზრით, ინგლისის კანონ-მდებლობის შეცვლას; გარნა ინგლისის მთავრობა მზად არის სხვა-და-სხვა საჭირო ღონისძიებით ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნებს საზოგადოების მტერთა საწინაამდეგო ბრძოლაში. «ჩვენის აზრითაო, სთქვა ასკვიტმა, ყველაზედ სასარგებლო ის იქმნებოდა ამ შემთხვევაში, რომ მთავრობანი შევატყობინებდეთ ხოლმე ერთანერთს, ვინ არიან ეს საშიშარნი კაცნიო».

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,47 | $7^1/_2$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^1/_2$ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $242^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | $227^3/_4$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $101^3/_8$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ფ—ვს. ნ. ს—ძეს.** თქვენი ლექსი „ჩემი ნატვრა“ არ დაიბეჭდება.

**არჩილ ც... ს.** არც თქვენი ლექსი დაიბეჭდება.

**სადგური სუ—სა. მეღ. ფ—ლს.** გამოგზავნეთ ორი მანეთი და გამოგეგზავნებათ გაზეთი, ლექსის დაბეჭდვისას-კი ვერას მოგახსენებთ.

**დ. ზ—სას.** თქვენი ფსიხოლოგიური ეტიუდი „წყეულიმც იყოს“ ირ დაიბეჭდება. მეტის-მეტად მოკლედ არის მოჭრილი სიტყვა. სურათი ოლასი ყოვლად მკრთალია, ცხოველებას მოკლებული. უამისოდ-კი ხელოვნების დასურათებას ფასი არა აქვს. ხელოვნების ნაყოფი იგივე ღვიძლზედ-ნადები შვილია პოეტისა, ხელოვანის ბელეტრისტისა, სათუთად აღზრდილი, ალერსითა და სიყვარულით. გულს ნუ გაიტეხთ მაინც. კიდევ სცადეთ რამდენჯერმე თქვენი ძალ-ღონე. მცირედი მადლი ღვთისა ამ ეტიუდსაც ეტყობა. იქმნება შემდეგი ცდა უფრო ნაყოფიერი იყოს...

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა— ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასევიჩი**, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---

## კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—159)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . .. | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარვ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |

---

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІА''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი. ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

**რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.**

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

# საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

**ფასი 50 კაპ.**

# უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

**ფასი 40 კაპ.**

# საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

**ფასი 20 კაპ.**

# სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

**ფასი 5 კაპ.**

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

---

# სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.